საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 6 23 00038725

21/12/2023

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რამდენადაც წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირების აუცილებლობა გამოვლინდა აღნიშნული გეგმის საქართველოს პარლამენტში წარმოდგენის შემდეგ. კერძოდ:

საკანონმდებლო ინიციატივის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის ორგანიზება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დაგეგმილი რეფორმის მიმართულებით. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შესახებ რეფორმიდან, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს და რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს ტაქსების რეფორმა. გასათვალისწინებელია, რომ რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შესახებ რეფორმასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შეეხებოდა ავტოსადგურების რეფორმას, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა მიმდინარე წლის საშემოდგომო სესიაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტზე მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში (RIA). ვინაიდან, აღნიშნული დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო პროცესი დასრულდა მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, საკანონმდებლო ინიციატივა ვერ აისახა საქართველოს პარლამენტის

2023 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტს წარმოედგინა მიმდინარე წლის 31 აგვისტოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ვახტანგ ბაჩიაშვილი